დანართი 1

დამტკიცებულია
სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის
ინსტიტუტის დირექტორის
2024 წლის 14 ნოემბრის № 143 ბრძანებით

დებულება

მთავარ მეცნიერ თანამშრომელთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებები

1.1. მთავარ მეცნიერ თანამშრომელთა ატესტაცია ტარდება თანამდებობის დაკავებიდან 5 წელიწადში ერთხელ, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[7] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.
1.2. ინსტიტუტის დირექტორი, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის და სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტა“-ს გენერალური დირექტორის №23 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის წესდების“ შესაბამისად, გამოსცემს ბრძანებას ატესტაციის ჩატარების შესახებ სადაც ასახულია მისი ჩატარების ვადები.
1.3. გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, ატესტაციის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია დაინტერესებული პირებისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

II. საატესტაციო კომისია. ატესტაციის ჩატარების ვადები

2.1. ატესტაციის ჩატარებას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საატესტაციო კომისია (შემდგომში „კომისია“).
2.2. ბრძანება ატესტაციის ჩატარების თარიღის შესახებ ქვეყნდება ატესტაციის ჩატარებამდე არანაკლებ 7 სამუშაო დღით ადრე.

III. სამდივნო

3.1. საატესტაციო მასალების დამუშავებას, კომისიისთვის გაცნობას, ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა კომისიაზე მიწვევას, კომისიის გადაწყეტილებების გაცნობას, ატესტაციის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას ახორციელებს ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამდივნო (შემდგომი „სამდივნო“). სამდივნო აფორმებს საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმებს, ატარებს ფარულ კენჭისყრას და შედეგს წარუდგენს საატესტაციო კომისიას.
3.2. სამდივნოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3 მაინც. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

3.3. სამდივნოს გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სამდივნოს თავმჯდომარე და სამდივნოს სხდომაზე დამსწრე წევრები.

IV. ატესტაციის ჩატარების წესი

4.1. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4.2. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.
4.3. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია ან ფარული კენჭისყრით.
4.4. კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
4.5. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც არყოფნის შემთხვევაში ცვლის მისი მოადგილე.
4.6. კომისიის სხდომის ოქმში შეტანილი უნდა იქნეს სხდომის მიმდინარეობის პროცესში ყველა გამოთქმული მოსაზრება და წინადადება.
4.7. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ვალდებულია, საატესტაციო კომისიაში განსახილველად წარადგინოს CV, სადაც მითითებული იქნება: უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომების სია (სტატიები, პატენტები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და სხვა), სამეცნიერო პროექტების ჩამონათვალი დამფინანსებელი ორგანიზაციისა და პროექტში მისი როლის მითითებით, დამატებითი ინფორმაცია სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.
4.8. საატესტაციო მასალების განხილვის და გასაუბრების შედეგები, კომისიის წევრთა კომენტარებით, ასევე უარყოფითი გადაწყვეტილებების საფუძვლები, აისახება ოქმში.
4.9. კომისიის მიერ კონკურსის ყველა ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებები ეცნობებათ ატესტაციაში მონაწილე პირებს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, მათ მიერ განაცხადებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე.
4.10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, კონკურსის შედეგებით, სხდომის დამთავრებისთანავე გადაეცემა ინსტიტუტის დირექტორს.
4.11. ყოველ ატესტაციაგავლილ თანაშრომელზე ფორმდება საატესტაციო ფურცელი, რომელსაც ხელს აწერს საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე და ატესტაციაში მონაწილე საატესტაციო კომისიის ყველა წევრი, რის შემდეგ მას გაეცნობა ატესტაციაგავლილი თანაშრომელი.
4.12. საატესტაციო ფურცელი ინახება თანამშრომლის პირად საქმეში.
4.13. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორი იღებს სათანადო გადაწვეტილებას ატესტირებული პირის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე მიზანშეწონილობის შესახებ.
4.14. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.